ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4194029

ნომერი: AR1632330

თარიღი : 21.09.2018

გაცემის თარიღი : 28.09.2018

გაცნობის თარიღი : 29.09.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 134;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლავრენტი ლავრელაშვილი პ/ნ 01016007283
- თბილისი ც.დადიანის ქ. II მ/რ კორ. 2 ბ. 169

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

აღნიშნული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს ზოგად საცხოვრებელ ზონაში (სზ)–ში. ვინაიდან წარმოდგენილი ტერიტორიისთვის გენერალური გეგმის მიხედვით არ არის დადგენილი კონკრეტული ქვეზონა (სზ), სამსახურის მიერ მიწის ნაკვეთის განვითარება საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2)- ან საცხოვრებელი ზონა 3 (სზ 3)-ის შესაბამისად შეიძლება იყოს განხილული. წარმოდგენილ ტერიტორიას ვერ მიენიჭება ისეთი ფუნქციური ზონა სადაც ავტოსამრეცხაოს მშენებლობა იქნება დაშვებული.

ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ხდებაავტოსამრეცხაოს მოწყობა, რომლის განთავსებაც დაუშვებელია ზემოაღნიშნულ ზონებში, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.